ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის ანგარიში

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის

2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის შემოსულობებმა შეადგინა 25 494,5 ათასი ლარი, ცენტრალური ბიუჯეტიდან მისაღები ფინანსური დახმარებებისა და საანგარიშო პერიოდისათვის არსებული ხარჯების დასაფარავად მიმართული ნაშთის 3 262.5 ათასი ლარის ჩათვლით მათ შორის:

I გადასახადები

გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია **9 299,5** ათასი ლარი, აღნიშნულ შემოსავლებში **2 463,2** ათასი ლარი მოდის ქონების გადასახადზე, ხოლო **6 836,3** ათასი ლარი გადასახადი საქონლისა და მომსახურებაზე (დამატებული ღირებულების გადასახადი).

II გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია **10 796,3** ათასი ლარი, მათ შორის: **მიმდინარე** ტრანსფერი _ 2 430,3 ათასი ლარი და კაპიტალური ტრანსფერი – 8 366,0 ათასი ლარი.

III სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლების სახით 11 თვეში სულ შემოსულია **1 746,6** ათასი ლარი.

შემოსავლები საკუთრებიდან სულ შემოსულია 1 455,9 ათასი ლარი;

მ.შ : პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 40,2 ათასი ლარი.

დივიდენდის სახით შემოსავალი 0.

რენტის სახით ჩარიცხულია 1 415,7 ათასი ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან შემოსულია 55,4 ათასი ლარი.

ჯარიმებიდან და საურავებიდან მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 200,8 ათასი ლარი შეადგინა.

ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული საანგარიშო პერიოდში მიღებულია 3 4 , 5 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსულია -389,6 ათასი ლარი.

ბიუჯეტის გადასახდელების გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 24 792,2 ათასი ლარი, აქედან : სარეზერვო ფონდი გახარჯულია 77,9

დაფინანსებული პროგრამები:

№	ორგანიზაციული კოდ	პროგრამის დასახელება	11 თვის შესრულება
1	01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	4343,1
2	02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	3 900,5
3	02 02 02 07	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა–რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	539,0
4	02 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	2202,6
5	02 04	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	674,4
6	02 05	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო	140,1
7	02 06	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები	3 393,8

8	03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1 528,3
9	04 01	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	1 892,5
10	04 02	განათლების სისტემის ხელშეწყობა	1 051,2
11	04 04	საჯარო მოსამსახურეთა გადამზადების პროგრამა	6,6
12	04 05	საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის მოწყობა, რეაბილიტაცია	0.0
13	04 06	საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოები	214.4
14	05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	1 264.8
15	05 02	კულტურის განვითარება	2 129,2
18	05 03	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	48,1
19	05 05	გენდერი	12,2
20	05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	7.5
21	06 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა	177,3
22	06 02 01	დაკრძალვის ხარჯები	0.4
23	06 02 03	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება	194,4
24	06 02 04	დევნილთა დახმარება	6,9
25	06 02 05	საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული	23,9

		მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება	
26	06 02 06	სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება	448,1
27	06 02 07	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	327,9
28	06 02 08	გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა	2.2
29	06 02 09	სოციალური პრობლემების და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროგრამების დაფინანსება	227,8
30	06 02 10	სამოქალაქო ბიუჯეტი სოციალური ცვლილებებისთვის	35.0
		სულ	**24 792,2**

ადმინისტრაციული სამსახური

საანგარიშო პერიოდში, ადმინისტრაციული სამსახურის შესაბამისი განყოფილებების მიერ, სამუშაო აღწერილობების შესაბამისად გაწეული იქნა შემდეგი სახის სამუშაოები:

- მუნიციპალიტეტის მერიაში, დარეგისტრირდა 10 639 შემოსული წერილი და სხვადასხვა კორესპონდენცია; ასევე, მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების შესახებ შემოსული 94 განცხადება; რეგისტრაციაში გატარდა და გაიგზავნა 5721 წერილი.

-მუნიციპალიტეტის საკრებულოში, რეგისტრაციაში გატარდა 292 შემოსული კორესპონდენცია; რეგისტრაციაში გატარდა და გაიგზავნა - 318 წერილი;

- საანგარიშო პერიოდში შედგენილი იქნა საქმეთა არქივირება.

მომზადდა და საკრებულოს სხდომაზე გატანილი იქნა 8 დადგენილების პროექტი მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ სხვადასხვა საკითხებზე;

სამართლებრივი დასკვნები მომზადდა მერიის სტრუქტურული ერთეულების მიერ საკრებულოში შეტანილ ყველა სამართლებრივი აქტის პროექტზე; ვიზირება გაუკეთდა მუნიციპალიტეტის მერის 2365 ბრძანებას და სამშენებლო სამართალდარღვევების თაობაზე მიღებულ დადგენილებებს; განხორციელდა მერიის კანონიერი ინტერესების დაცვა სასამართლოში ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებზე მიმდინარე სამართალწარმოების პროცესში. პერიოდულად მიმდინარეობს მერიის სტრუქტურული ერთეულებისთვის, მერის წარმომადგენლებისთვის, მერიის სხვა საჯარო მოხელეებისთვის, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირებისთვის სამართლებრივი დახმარების გაწევა და იურიდიული კონსულტირება.

ორგანიზება გაეწია მუნიციპალიტეტის მერიაში ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ 7 კონკურსს; პროფესიული განვითარების მიზნით გადამზადდა მერიის 55 თანამშრომელი.

ადმინისტრაციული სამსახურის შესაბამის განყოფილება, უზრუნველყოფს: შეხვედრებისა და თათბირების ორგანიზებას მერის წარმომადგენლებთან; სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მერის მიერ ინიცირებული დასახლების საერთო კრებების ჩატარების ორგანიზებას; კომპეტენციის ფარგლებში, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთან და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან თანამშრომლობას; სტიქიის შედეგად დაზიანებული მოსახლეობის აღრიცხვასა და შესაბამისი სამსახურებისათვის ინფორმაციის მიწოდებას; სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დასაქმების პროგრამის ფარგლებში დასაქმებული მოქალაქეების აღრიცხვის კონტროლს.

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მერიის ყოველდღიური საქმიანობის შესახებ ინფორმაციის დამუშავება და გამოქვეყნება მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე, მერიისა და მერის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდებზე; მოქალაქეების, ჟურნალისტებისა და სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენელთა მოთხოვნის შესაბამისად, ინფორმაციის დროულ გაცემა; მოლაპარაკებების წარმართვა ადგილობრივ და ცენტრალურ მედია საშუალებებთან, სატელევიზიო და ბეჭდურ მედიაში გასაშუქებელი მასალის მიწოდება; გაშუქებული მასალის მონიტორინგი; მერისა და სხვა ხელმძღვანელი პირების სამუშაო შეხვედრების ორგანიზება, შეხვედრისათვის პრესრელიზების მომზადება; ღონისძიებათა ფოტო-ვიდეო გადაღება, პრესის არქივის შექმნა.

შესაბამისი განყოფილების მიერ ყოველდღიურად კონტროლდება მერიისა და საკრებულოს კომპიუტერების გამართული მუშაობა, ხდება ოპერატიული სისტემის და პროგრამების განახლება. ტექნიკური დახმარება გაწევა შეეხება, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-ებსაც. მონიტორინგი ხორციელდება კიბერუსაფრთხოების ღონისძიებების გატარებაზე.

მ/წელს მუნიციპალიტეტმა შეიყიდა, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ვებ გვერდის chokhatauiri.gov.ge პროგრამული პაკეტი. შინაარსობრივად და სტრუქტურულად განახლდა ვებ გვერდი. გვერდი არის ორენოვანი, ადაპტირებული შშმ პირებისათვის. გვერდი ასევე ადაპტირებულია მობილური მოწყობილობებისათვის. საიტის რეკონსტრუქცია დასრულებულია, მიმდინარეობს პროაქტიული ინფორმაციის განთავსება.

,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს მოთხოვნების შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიაში საანგარიშო პერიოდში შემოსულია საჯარო ინფორმაციის გაცემის 132 მოთხოვნა. 129 მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

მოგეხსენებათ საქართველოში ხორციელდება USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამა, რომლის მიზანია საქართველოში მიმდინარე დეცენტრალიზაციის და საჯარო რეფორმების მხარდაჭერა და ადგილობრივ თვითმმართველობებში ეფექტიანობის, ანგარიშვალდებულების და მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა. აღნიშნულ ორგანიზაციასა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები ახორციელებენ გეგმით გათვალისწინებულ აქტივობებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის კუთხით 2023 წელი მნიშვნელოვანი აქტივობებით იყო გამორჩეული. კერძოდ ამ პერიოდში განხორციელდა სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტი; მუნიციპალიტეტის სამ დასახლებაში ჩატარდა საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით" გათვალისწინებული საერთო კრება; შექმნილია მერის სათათბირო ორგანო - მრჩეველთა საბჭო; შექმნილია ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი იყო იმ საპილოტე მუნიციპალიტეტებს შორის, რომლებიც მონაწილეობდნენ ევროპის საბჭოს პროექტის - ,,მონაწილეობითი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გაძლიერება ადგილობრივ დონეზე საქართველოში". აღნიშნული პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტის თანამშრომლები გაეცნენ და შეისწავლეს სამოქალაქო ჩართულობის მეთოდოლოგიები, შეიძინეს უნარები სამოქალაქო ჩართულობის მეთოდოლოგიებში, როგორიცაა მოქალაქეთა ასამბლეა, CivicLab და სხვა. ევროსაბჭოს ინსტრუმენტები იქნა გამოყენებული ზემოაღნიშნული საერთო კრების ჩატარების დროს.

2023 წელს მუნიციპალიტეტმა „ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა მონაწილეობის ხარისხის თვითშეფასების" (ბენჩმარკინგის) მეთოდოლოგიის გამოყენებით, შეაფასა მოქალაქეთა მონაწილეობის ხარისხი. შეფასება განხორციელდა ასევე დაინტერესებული მხარეების, ე.წ. ფოკუს ჯგუფების მიერ, რომლის მიხედვით გამოვლინდა თუ რამდენად არის მონაწილეობით პროცესებთან დაკავშირებით

მუნიციპალიტეტებისა და მოქალაქეების მოსაზრებები თანხვედრაში, რა საჭიროებები და გამოწვევები აქვთ ადგილობრივ მაცხოვრებლებს და რამდენად კმაყოფილები არიან პროცესით.

ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური

2023 წელს ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ გაწეული იქნა შემდეგი სამუშაოები: კერძოდ, სამსახურის მიერ დასრულებული იქნა მუნიციპალიტეტის 2023–2027 წლების ინფრასტრუქტურული პროექტების პროგრამა, კერძოდ, შემუშავებული იქნა ინფრასტრუქტურის განვითარების 5 წელზე წლების მიხედვით გათვლილი ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალ სოფლებში განსახორციელებელი ობიექტების (გზების, ხიდების, ადმინისტრაციული შენობების, კლუბების, ამბულატორიების, სკოლების, სასაფლაოების, ბაღებისა და სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების) ნუსხა. აღნიშნული დოკუმენტი მოწონებული იქნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.

ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური აქტიურადაა ჩართული და უძღვება მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების 2024-2027 წლების განვითარების დოკუმენტის შემუშავების პროცესს.

საანგარიშო პერიოდისათვის დაკომპლექტდა სამუშაო ჯგუფი. უზრუნველყოფილი იქნა ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვა, განხორციელდა მუნიციპალიტეტის სიტუაციური ანალიზი, რომლის საფუძველზეც მიმდინარეობს სამოქმედო გეგმის, ლოკალური ჩარჩოს, მონიტორინგისა და შეფასების ანგარიშის შემუშავების პროცესი. წლის ბოლომდე დოკუმენტი დამტკიცებული იქნება მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ. აღნიშნული დოკუმენტის მომზადება მიმდინარეობს გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში.

ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვაში მონაწილეობის კუთხით მოპოვებულია და აღრიცხულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე 2023 წლის ჩათვლით სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიების შესახებ ინფორმაცია. აღნიშნული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებიდან კანონმდებლებით გათვალისწინებული მოსაკრებლები წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების წყაროს, რომელიც იგეგმება ადგილობრივ ბიუჯეტში. გარკვეული სამუშაოები იქნა გაწეული ტურიზმის განვითარების მიზნით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები. დელეგაციის წევრები გაეცნენ პოლონურ-ქართული პროექტების მიმდინარეობას და განხორციელებული აქტივობების მიხედვით ჩოხატაურში კონკრეტული ადგილები მოინახულეს.

პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერილ პროექტებს ახორციელებენ: ევრორეგიონ ბაგი პარტნიორებთან ერთად, სიპისი – თანამონაწილეობისა და ჩართულობის ცენტრი, პირველი ბლოკი – Poland – East Cooperation Centre, პოლონეთის სოლიდარობის ფონდი PL საქართველოში და პოლონეთის განვითარების ფონდებისა და რეგიონული პოლიტიკის სამინისტრო.

შეხვედრაზე თვითმმართველობის ხელმძღვანელ პირებთან და პროექტებში ჩართული შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად განიხილეს სამომავლო თანამშრომლობის გეგმები.

ეკონომიკის და ქონების მართვის სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს შემდეგ ტრენინგებში:

GIZ -ის პროექტის Private Sector Development and Technical Vocational Education and Training South Caucasus ფარგლებში ჩატარდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ორდღიანი ტრენინგი სახელწოდებით „ტურისტული სერვისების დანერგვა და კონკურენტული პოტენციალის გაზრდა“. აღნიშნული საკითხები გამოიკვეთა ტურისტული ბაზრის კვლევის საფუძველზე. ტრენინგს ესწრებოდნენ ტურიზმის სფეროს წარმომადგენლები, დაინტერესებული მოქალაქეები და მერიის თანამშრომლები. მონაწილეები გაეცნენ ტურისტული დესტინაციის მნიშვნელობას, განიხილეს ტურისტული საქმიანობის დაწყების წინაპირობები, გაყიდვების საკითხები, სერვისის შექმნისა და ხარისხის სტანდარტები.

ტრენინგი სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ერთობლივი პროექტი, რაც ითვალისწინებდა მეღვინეობის სფეროში დაინტერესებული პირებისა და მარნებისათვის ქვეყნის მასშტაბით ტრენინგების ჩატარების საკითხს.

გაიმართა ქალთა საინფორმაციო ცენტრის მიერ ორგანიზებული, სატრენინგო ციკლი

გურიისა და ქვემო ქართლის რეგიონებში ,,იყავი მის ადგილას'' გამოცდილების

გაზიარება.

ონლაინ ჩართვა - პროექტი სახელწოდებით „კერძო სექტორის ჩართულობის (Private

Sector Engagement (PSE)) გაძლიერება ადგილობრივ დონეზე“.

ეტაპობრივად მიმდინარეობს ონლაინ ჩართვები პროექტის ფარგლებში „გურია სიცოცხლის ზეიმი“, გურიის ტურისტული ბრენდის შექმნასა და განხორციელების შესახებ. აღნიშნული პროექტი გრძელდება (3 წელი).

მოხდა ზოტში და ზოგადად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული ლოკაციების დრონით გადაღება, რის შედეგადაც მოხდება ფილმის შექმნა აღნიშნულ ლოკაციებზე.

შეგროვდა ინფორმაცია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში არსებული ბალნეოლოგიური კურორტებისა და წყლების შესახებ და გადაეცა სააგენტოს შემდგომი კვლევის მიზნით.

ჩოხატაურს პოლონელი და ქართველი ბლოგერები ეწვივნენ ტურის მიზანი გახლდათ ადგილობრივი ტურისტული პოტენციალის ათვისების ხელშეწყობა და საერთაშორისო ვიზიტორების დაინტერესება. ბლოგერების ტური ჩატარდა პოლონურ-ქართული პროექტის „გურია - სიცოცხლის ზეიმი გურიის ტურისტული ბრენდის სტრატეგიის შექმნა და განხორციელება“ (Guria – Celebrate Life. Development and implementation of the Guria brand strategy) ფარგლებში, რომელიც წარმატებული პროექტის, „ტურისტული ბრენდი - ტურიზმის გაძლიერების შესაძლებლობები გურიაში ევრორეგიონ BUG-ის გამოცდილების გაზიარება“ მეორე ეტაპი გახლდათ.
პროექტს პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, ახორციელებს „ევრორეგიონის მუნიციპალიტეტების ასოციაცია BUG“ (პოლონეთი), პარტნიორებთან ერთად: „თანამონაწილეობისა და ჩართულობის ცენტრი - CPC“, ჩოხატაურის, ოზურგეთისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტები, „I (პირველი) ბლოკი“, „პარტნიორობის ცენტრი პოლონეთი-აღმოსავლეთი“ (პოლონეთი).

მთავრობის მიერ ორგანიზებულ ღვინის დღეებთან დაკავშირებით მოხდა მეღვინეებისა და მეწარმეების ინფორმირება და დასწრება აღნიშნულ ღონისძიებაზე.

მომზადდა და პასუხი გაეცა კითხვარს - მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში არსებული სიტუაციის და პრიორიტეტების შესახებ.

საინვესტიციო გარემოს განვითარების კუთხით განხორციელდა შემდეგი საქმიანობები:

თანამშრომლობა გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)-თან- გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP)-ის დაფინანსებით "ევროკავშირის ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD) - დეცენტრალიზებული, ეფექტური და ინკლუზიური მმართველობის ხელშეწყობა საქართველოში" პროგრამის ფარგლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტმა მონაწილეობა მიიღო საგრანტო კონკურსში, სადაც სამსახურის მიერ მომზადებული იქნა 2 პროექტი: 1. კურორტ ბახმაროში ბახვის წყალზე გადასასვლელი სამანქანო ხიდის მოწყობა და 2. ვანზომლეთის თემის, ჯიხეთის დედათა მონასტერთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია. დონორის მხრიდან ორივე პროექტმა მიიღო მაღალი შეფასება. ფონდის მიერ დაფინანსებული იქნა პროექტი - ვანზომლეთის თემის, ჯიხეთის დედათა მონასტერთან

დამაკავშირებელი 4 კმ. გზის რეაბილიტაციის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტის მომზადება. დაფინანსება მოპოვებული იქნა 50 000 ლარის ოდენობით, ხოლო ტენდერის საფუძველზე გამარჯვებული კომპანია დაფინანსდა 197500 ლარით.

თანამშრომლობა სლოვაკეთის საელჩოსთან- მუნიციპალიტეტმა მონაწილეობა მიიღო სლოვაკეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს კონკურსში „მცირე გრანტები 2023 წლისთვის საქართველოში“, სადაც სამსახურის მიერ მომზადებული იქნა პროექტი- ნარჩენების მართვის გაუმჯობესება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში. პროექტი მიზნად ისახავს 22 ნარჩენების შესაგროვებელი ურნის შეძენასა და განთავსებას მუნიციპალიტეტის მასშტაბით, პროექტის ღირებულებაა - 10 000 EUR. მხარეებს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება.

თანამშრომლობა GIZ - თან- გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD) ეკონომიკური და სოციალური **ცხოვრების** კატალიზატორი (CESL) კონკურსი, ფარგლებში სამსახურმა მოამზადა 2 პროექტი : 1. მრავალმხრივი მულტიფუნქციური სივრცე ჩოხატაურში, რომლის მიზანია: ა) მუნიციპალიტეტში მულტიფუნქციური სივრცის შექმნით, კულტურული პოტენციალის წარმოჩენა, ინოვაციებისა და კრეატიული ინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობა და ბ) ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოტენციალის ამაღლება. 2. ლიტერატურული კაფე ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმში. პროექტის მიზანია: ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმის ეზოში ლიტერატურული კაფეს მოწყობით კულტურული და საგანმანათლებლო ტურისტული შეთავაზებების განვითარება; ვიზიტორების რაოდენობისა და ადგილობრივი შემოსავლების ზრდა.

მულტიფუნქციური სპორტული ცენტრის კონცეფცია-სამსახურმა იმუშავა ბორის პაიჭაძის სახელობის მულტიფუნქციური რეგიონული სპორტული ცენტრი კონცეფციის შემუშავებაზე, რის ფარგლებშიც უნდა შეიქმნას მულტიფუნქციური რეგიონული მნიშვნელობის სპორტული ცენტრი, რომელიც მიიღებს სტუმრად როგორც ადგილობრივ ასევე ევროპული ქვეყნების გუნდებს სპორტული შეჯიბრებებისთვის და სავარჯიშო შეკრებებისთვის.

აღსანიშნავია, რომ 8 ჰა. -ზე მეტ ფართობზე განლაგებული სპორტული ინფრასტრუქტურა არ გააჩნია არც ერთ მუნიციპალიტეტს, ასევე მნიშვნელოვანი ფაქტია ის, რომ 35-80 კმ მანძილზე ხელმისაწვდომია ორი საერთაშორისო აეროპორტი ქუთაისის და ბათუმის. სტუმრებს 1 საათის პერიოდში შეეძლებათ, როგორც მთაში (ბახმარო) ასვლა, ასევე ზღვის სანაპიროს მონახულება. ყოველივე ამის გათვალისწინებით აღნიშნულ მულტიფუნქციური სპორტული ცენტრი არა მხოლოდ რეგიონის, არამედ ქვეყნის მასშტაბით გახდება მნიშვნელოვანი ფუნქციის

მატარებელი. სპორტული კომპლექსის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებას და მშენებლობას განახორციელებს შპს ,,სპორტმშენსერვისი''. აღნიშნული პროექტი ხორციელდება საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინიციატივით.

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი მდგრადი ენერგეტიკული მომავლისკენ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტმა პროექტით „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი მდგრადი ენერგეტიკული მომავლისკენ“ გაიმარჯვა ევროკომისიის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში „ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების მხარდაჭერა საქართველოში“ ლოტი 3: ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების ფარგლებში.

პროექტის საერთო მიზანია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ინფრასტრუქტურის, საცხოვრებელი და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისთვის ენერგოეფექტურობის ღონისძიებების განხორციელება, განახლებადი ენერგიის მოხმარების წამახალისებელი პოლიტიკის გატარება საზოგადოების სამი სექტორის (მთავრობა, ბიზნესი, CSO) ჩართულობით.

პროექტის ღირებულებაა 772117 ევრო, აქედან მუნიციპალიტეტის კონტრიბუცია შეადგენს: 52000 ევროს. პროექტის ხანგრძლივობა გათვლილია 3 წელზე (30 თვე).

პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტის თანააპლიკანტებია ოზურგეთის არასამთავრობო ორგანიზაცია „პროგრესის სახლი“ და პოლონეთის სახელმწიფო ხაზინის ფონდი „სოლიდარობის ფონდი PL“. საანგარიშო პერიოდისთვის პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს 3 საბავშვო ბაღის ენერგოეფექტურად აღჭურვა-რეაბილიტაცია. მიმდინარეობს უდაბნოს მამათა მონასტრამდე მიმავალი გზის ენერგოეფექტური გარე განათების სისტემის საპროექტო სამუშაოები. პროექტის ფარგლებში, მერიისა და საკრებულოს სულ ათი საჯარო მოხელე სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდა პოლონეთში. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები გაეცნენ პოლონეთის გამოცდილებას ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიების სფეროში; ეწვივნენ ევროპული სოლიდარობის ცენტრს, გარემოს დაცვისა და წყლის მენეჯმენტის რეგიონულ ფონდს, სხვადასხვა მუნიციპალიტეტს, ორგანიზაციასა და დაწესებულებას, სადაც იყენებენ თანამედროვე ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებს. ჩოხატაურის დელეგაციამ, ასევე პოლონელ კოლეგებს გაუზიარეს ჩოხატაურის მიღწევები ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიების სფეროში.

თანამშრომლობა ტარჩინის მუნიციპალიტეტთან - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ დაიწყო თანამშრომლობა ტარჩინის გმინასთან პროექტის „გურიის ხილის აკადემია“ ფარგლებში, რომლის მხარდამჭერია პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლონეთის განვითარების ხელშეწყობის 2023 წლის პროგრამა.

პროექტის მთავარი მიზანია გურიის რეგიონის სოფლის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მცირე ფერმერების, მებაღეების შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა ხილის გადამამუშავებელი ცენტრის მეშვეობით.

პროექტი მთლიანად დაფინანსებულია პოლონური მხარის მიერ და მუნიციპალიტეტის ფინანსური თანამონაწილეობა არ მოითხოვება.

მიმდინარე წლის დეკემბრის თვეში გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ტარჩინის გმინასა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს შორის.

იაპონიის საელჩოს ადამიანის უსაფრთხოების საგრანტო პროგრამა – (GGP) - სამსახურის განყოფილებები არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანეთა მოძრაობა დედამიწის მეგობრებთან“ თანამშრომლობით აქტიურად იყვნენ ჩართულნი იაპონიის საელჩოს მიერ გამოცხადებულ „ადამიანის უსაფრთხოების საგრანტო პროგრამაში“ – (GGP) რომლის ფარგლებშიც მომზადდა პროექტი, შედეგად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ მოიპოვა გრანტი, რომლის ფარგლებშიც მიიღებს ახალ ფორდის მარკის ნაგავმზიდ მანქანას.

პოლონეთის ფონდებისა და რეგიონული პოლიტიკის სამინისტროსთან თანამშრომლობა- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი მონაწილეობს პოლონეთის ფონდებისა და რეგიონული პოლიტიკის სამინისტროს და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ერთობლივ პროექტში“ საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობის ზრდა და მეწარმეობის განვითარება“ რომლის მიზანია ინვესტიციების სფეროში საპილოტე, ინტეგრირებული განვითარების პროგრამის განხორციელების მიზნით საქართველოს საჯარო ადმინისტრაციის მომზადება თვითმმართველობებისა და რეგიონული ადმინისტრაციების თანამშრომლებისთვის. პროექტს ახორციელებს პოლონეთის ფონდებისა და რეგიონული პოლიტიკის სამინისტრო და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ხოლო პროექტის დონორია: პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, გასულ წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტმა ხელი მოაწერა „ინვესტორებისთვის მეგობრული მუნიციპალიტეტის სერტიფიცირების“ პროცესში ჩართულობას. სერტიფიცირების პროცესის შესაბამისად, ამა წლის 13 ივნისს მუნიციპალიტეტს ეწვივნენ პოლონური მხარის წარმომადგენლები: იუსტინა ვენგლოჟი – პოლონეთის ფონდებისა და რეგიონული პოლიტიკის სამინისტროდან და ექსპერტი მონიკა ზდროიეკი. ვიზიტი მიზნად ისახავდა მუნიციპალიტეტში ინვესტორთა მომსახურების სტანდარტების შემოწმებას სიმულაციური მეთოდის მეშვეობით, რის ფარგლებშიც გაიმართა მუნიციპალიტეტის

საინვესტიციო პოტენციალის პრეზენტაცია, რომელშიც ჩართული იყვნენ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები და სამსახურის თანამშრომლები. ვიზიტი დასრულდა საინვესტიციოდ განკუთვნილი ადგილის პრეზენტაციით.

აღნიშნული პროექტის შესაბამისად მიმდინარე წლის 1 – 7 ოქტომბერს მერიის 4-კაციანი ჯგუფის მონაწილეობით შედგა დასკვნითი სასწავლო ვიზიტი პოლონეთში. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები პოლონეთის ფონდებისა და რეგიონული პოლიტიკის სამინისტროს პროგრამების დეპარტამენტის დირექტორთან; ქალაქ იუზეფოვის მერთან და საკრებულოს თავმჯდომარესთან; კუიავო-პომერანიის რეგიონის სამხარეო ადმინისტრაციის რწმუნებულთან და სხვა ხელმძღვანელ პირებთან.

ასევე პოლონეთის სხვადასხვა ქალაქში გაიმართა შეხვედრები, რომელთა თემატიკა მოიცავდა კარგი პრაქტიკების გაზიარებას ეკონომიკური პროფილების მიმართულებით, მათ საინვესტიციო მიმზიდველობას; ვებგვერდებისა და სოციალური მედიის გამოყენებას; კრეატიულ სექტორთან დაკავშირებული ბიზნეს ინკუბატორების საქმიანობას; საზოგადოებასთან ურთიერთობებს თვითმმართველობაში; რეგიონული განვითარების სააგენტოს, ბაზრობებისა და საგამოფენო ცენტრების საქმიანობას. ჩოხატაურს პროექტის შესაბამისი აქტივობების წარმატებით განხორციელებისთვის ინვესტორთათვის მეგობრული მუნიციპალიტეტის სერტიფიკატი გადაეცა.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) საქართველოს 12 სამიზნე მუნიციპალიტეტში, მათ შორის ჩოხატაურში, ახორციელებს პროექტს მდგრადი რეინტეგრაცია და თემის გაძლიერება-პილოტური ინიციატივა მიგრანტთა დაბრუნების თემებში, რომელიც დაფინანსებულია მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის განვითარების ფონდისა (IDF) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ.

პროექტის ფარგლებში სხვა აქტივობებთან ერთად გათვალისწინებულია საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების ჩამოყალიბება, რომლის მიზანია უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება ქვეყანაში მოქმედი სახელმწიფო და არასახელმწიფო პროგრამებისა და პროექტების შესახებ და საჭიროების მიხედვით შესაბამის უწყებაში მიზნობრივი გადამისამართება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახურის მიერ 2023 წლის 1 იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით კონსულტაცია გაეწია და მიზნობრივად გადამისამართდა სხვადასხვა უწყებებში 28 მოქალაქე. ასევე სამსახურმა აქტიური მონაწილეობა მიიღო მოქალაქეთა ინფორმირებასა და ადგილზე მობილიზებაში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ 2023 წლის აპრილის თვეში, ორ ეტაპად საგრანტო კონკურსების პროექტების წერაზე სასწავლო ტრენინგის ჩატარებაში.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებთა სტატუსის მინიჭების საბჭოს 12 სხდომა, რის შედეგადაც 29 სტატუსის მაძიებელს მიეცა დადებითი რეკომენდაცია, ხოლო 1 სტატუსის მაძიებელს შეუწყდა სტატუსი მონიტორინგის საფუძველზე.

მდგრადი განვითარების მიზნების 2030 წლის გეგმა (SDG) - სამსახური კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტში არსებული პირობების, გამოწვევებისა და შესაძლებლობების შესაბამის გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) 2030 წლის გეგმის შემუშავების პროცესს. დოკუმენტი დასრულებული სახით გადაგზავნილია საკონსულტაციოდ.

გაერო, საქართველოს მთავრობასთან ერთად, თანათავმჯდომარეობს მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულ საბჭოს, რომელიც არის მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში საქართველოს წინსვლის მთავარი გარანტორი. გეგმა დამტკიცებული იქნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.

მომზადდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალო ვადიანი განვითარების დოკუმენტი და 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც წარდგენილია საკრებულოში დასამტკიცებლად.

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ეკონომიკური განვითარების საფუძველს წარმოადგენს ქონება. გამომდინარე აქედან, ქონების მართვის კუთხით სამსახური ახორციელებს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აღრიცხვას, ქონების ელექტრონული ბაზის შექმნას და მის მუდმივ მონიტორინგს.

მიმდინარე საჭიროებებიდან, კერძოდ მოსახლეობისა და საჯარო ინტერესების გათვალისწინებით სამსახურის მიერ ეტაპობრივად მიმდინარეობს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება და საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთრებას მიკუთვნებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრაცია. ასევე, ამავე კოდექსით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის საჯარო ფუნქციების განხორციელებისათვის საჭირო ქონების გადმოცემა/რეგისტრაცია.

2023 წელში ქონების მართვის მიმართულებით, მოქალაქეებისა და სხვადასხვა უწყებებიდან შემოსულმა დოკუმენტბრუნვამ შეადგინა - 838 ერთეული (მათ შორის შემოსული 326 ერთეული; გასული - 435 ერთეული; შიდა მიმოწერა - 48 ერთეული; ბრძანება - 29 ერთეული) რეზოლუციით დაწერილია, კორესპონდენციები (174 ერთეული), მომზადებულია 12 ერთეული განკარგულების პროექტი და დადგენილება - 1 ერთეული). სამსახურის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრასთან დაკავშირებით; მუნიციპალური ქონების შექმნის მიზნით, სხვადასხვა საჭიროებებიდან (ინფრასტრუქტურული პროექტები, მუნიციპალური ქონების აღრიცხვა და სხვა) გამომდინარე განხორციელდა 37 ერთეული უძრავი ქონების საკადასტრო აზომვითი სამუშაოების ორგანიზება. სახელმწიფო საკუთრებიდან გადმოეცა, აღირიცხა და ბალანსზე გატარდა - 19 ობიექტი (ღირებულებით - 536 102 ლარი); ასევე, სამსახური განიხილავს სახელმწიფო ქონების განკარგვასთან (პრივატიზება, სარგებლობის უფლებით გადაცემა, უძრავი ქონების ადგილმონაცვლეობა) დაკავშირებულ საკითხებს. განხორციელდა 2 ერთეული უსახური შენობა-ნაგებობის ბალანსიდან ჩამოწერა და სადემონტაჟოდ მომზადება (განხორციელდა 1 დემონტაჟი). საპრივატიზებოდ მომზადდა და გატანილ იქნა ელექტრონულ აუქციონზე 10 ერთეული უძრავი და 3 ერთეული მოძრავი ქონება. პრივატიზებულ იქნა 4 ობიექტი (უძრავი ქონება), შემოსულმა თანხამ შეადგინა - 211 083 ლარი. ჩოხატაურის მერიაში შემოსული სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 12 ივლისის N15/38016 წერილის საფუძველზე მუნიციპალიტეტის სპორტული ინფრასტრუქტურის კერძოდ თანამედროვე სპორტული ბაზის მოწყობის მიზნით სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადაეცა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5 ერთეული არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, მათზე განთავსებული შენობა-ნაგებობით, საერთო ფართით 83317კვმ შემდგომში შპს ,,სპორტმშენსერვისი''-ის კაპიტალში შესვლისა და თანამედროვე სპორტული ბაზის მშენებლობის მიზნით.

იჯარით გაცემული ობიექტებიდან შემოსულმა საიჯარო ქირამ შეადგინა - 21415 ლარი. ასევე, ხორციელდება იჯარით გაცემული ობიექტებიდან ქირის გადახდის მონიტორინგი.

„მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განხორციელდა 237 ერთეული კორესპონდენციის განხილვა, კერძო მფლობელობაში არსებულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით.

განხორციელდა 6 ერთეული უძრავი ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემა, რითაც ხელი შეეწყო მუნიციპალიტეტში ზრდასრულთა განათლების ცენტრისა და სპეციალური საჭიროების მქონე მშობელთა კლუბის წევრებისათვის განკუთვნილი პროექტის განხორციელებას.

საცხოვრებელი სადგომის არ მქონე 11 პირისათვის გადასაცემად მომზადდა შესაბამის ფართების ტექნიკური დოკუმენტაცია.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის სტატისტიკური მონაცემების შეგროვება/აღრიცხვა;

დაინტერესებული პირებისთვის კონსულტაციის გაწევა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის საკითხებთან დაკავშირებით (მიწის კატეგორია; საძოვრები და სხ/სხ).

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოების მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადების შესახებ ინფორმაციის დამუშავება/შესწავლა შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლების, დეპუტატებისა და მოსახლეობის ჩართულობით. მოსაზრებების, ინფორმაციის გავრცელების ამსახველი ფოტომასალის და თანდართული დოკუმენტაციის განთავსება სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (იხ. ბმული https://mepa.gov.ge) .

სამსახურის ჩართულობით გარემოს ეროვნული სააგენტოს წარედგინა წინადადებები გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების თაობაზე. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის ორგანიზებითა და მხარდაჭერით შემუშავდა მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარებისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა (**SECAP**) და მზადაა დასამტკიცებლად.

სამსახური ორგანიზებას უწევს ECO.Georgia-ს მიერ გამოცხადებულ საპროექტო **იდეების კონკურსს ტყის მდგრადი მართვის** საკითხებზე, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას მოემსახურება (თითოეული პროექტისთვის გათვალისწინებულია 10 000 ევრომდე ეკვივალენტი ლარში მოცულობის გრანტი).

სამსახურის თანამშრომლები მონაწილეობენ სხვადასხვა მუდმივმოქმედი კომისიების მუშაობაში და ასევე ასრულებენ დებულებით გათვალისწინებულ სხვადასხვა ფუნქცია-მოვალეობებს.

მომზადდა და საკრებულოს მიერ დამტკიცდა ,,მდგრადი განვითარების მიზნების ჩოხატაურის მუნიციპალური დოკუმენტი“ (2023 წლის 18 დეკემბრის #61 2023 (რეგისტრაცია გ-47.47233528) დადგენილება).

მუნიციპალური შესყიდვების სამსახური

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2023 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელდა 1689112,39 ლარის შესყიდვა, სახელმწიფო ბიუჯეტით - 15146310,54 ლარის შესყიდვა. სულ ჩატარდა 116 ელექტრონული ტენდერი, აქედან შეწყვეტილი იქნა 4 ელექტრონული ტენდერი, უარყოფითი შედეგით დასრულდა - 5, არ შედგა - 12 ელექტრონული ტენდერი.
სულ დადებული იქნა 226 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება, ელექტრონული ტენდერით - 89 ხელშეკრულება, გამარტივებული შესყიდვით - 115 ხელშეკრულება, კონსოლიდირებული ტენდერით - 22 ხელშეკრულება.
2023 წელში მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ.

არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს სულ სტიქიის სალიკვიდაციოდ გამოეყო დღეის მდგომარეობით 2023 წლის 27 ოქტომბერს N1916 (ცვლილება N116 განკარგულებაში) განკარგულების საფუძველზე 5 365 000 (ხუთი მილიონ სამას სამოცდახუთი ათასი) ლარი (იგულისხმება განკარგულებების ჯამი)

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სტიქიით დაზიანებული კერძო საცხოვრებელი სახლებისთვის თუნუქის შეძენა 49 683კვ/მ)

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 6 ივნის N978(შევიდა ცვლილება 2022წლის 26 იანვრის N131 განკარგულებაში) განკარგულების საფუძველზე ,,2020-2022 საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად ''

ორპირა I-II ეტაპი: ახალი რეკრეაციულ-მოსასვენებელი პარკის შექმნით ჩოხატაურის ტურისტული მრავალფეროვნების განვითარება და ადგილობრივი ბიზნესის მხარდაჭერა (მიმდინარეობს II ეტაპი)- 1,545,006ლარი (ასათვისებელი 181,015)

სოფელ გორაბერეჟოულის ადმინისტრაციულ ერთეულში, გორაბერეჟოულის დენდროლოგიური პარკის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის სამუშაოები - 1,583.951ლარი (ასათვისებელი 122,030)

სულ: 3,128,957 ლარი

მსოფლიო ბანკისა და საქართველოს მთავრობის ერთობლივი პროექტი გურიის რეგიონში (60 000 000 ლარის ღირებულებით)

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შუა ამაღლება-ვან-ზომლეთის სახელმწიფო მნიშვნელობის გზის რეაბილიტაცია. 10 კმ მონაკვეთი. (11 213 577 ლარი). CHINA ROAD AND BRIDGE CORPORATION.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 10 ივნისის განკარგულებით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს მიეცა უფლება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის პროექტის ფარგლებში:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ ბუკისციხის, ვანის, ზოტისა და სამების საჯარო სკოლების რეაბილიტაცია. შპს „სვირი+"-სახელშეკრულებო ღირებულებაა- 4,600,000 (ოთხი მილიონ ექვსასი) ლარი.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბერი N2476 განკარგულებით ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდამჭერის პროგრამის ფარგლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 730,000, მიმდინარეობს სამუშაოები სოფლის კრებებზე მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოეყო N1592 2023 წლის 4 სექტემბერს 4,999,587 ლარი (ცვლილება 2022წლის 29 დეკემბრის N2475 განკარგულებაში , დაფინანსებული პროექტები აქტიურად მიმდინარეობს. სულ 30 პროექტია დღეის მდგომარეობით რომელთაგან 25 დასრულებულია (გარდამავალ 5 პროექტის პირველი ეტაპებია დასრულებული, წინსწრებით სრულდება 3,152,666 ლარის სამუშაო)

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენაზე სულ 2023წელს დაიხარჯა 126 285(ასოცდაექვსი ათას ორასოთხმოცდახუთი) ლარი.

სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. შუასურების საჯარო სკოლის რეაბილიტაცია სახელშეკრულებო ღირებულება- 99,999 (ოთხმოცაცხრამეტიათასცხრაასოთხმოცდაცხრამეტი) ლარი.

2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 12 დეკემბრის ჩათვლით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის არქიტექტურის და სივრცითი მოწყობის განყოფილების მიერ გაიცა 27 მშენებლობის ნებართვა, მოსაკრებლის ჯამური რაოდენობა შეადგენს - 13990(ცამეტიათასცხრაასოთხმოცდაათი) ლარი.

ზედამხედველობის სამსახური

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური მუდმივ რეჟიმში ახორციელებს მონიტორინგს ჩოხატაურის ტერიტორიაზე, რათა დროულად მოხდეს გამოვლენა და სამართლებრივი რეაგირების განხორციელება ყველა სამართალდარღვევასთან დაკავშირებით. განსაკუთრებით საყურადღებოა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების უნებართვო დაკავების ფაქტების გამოვლენა და შესაბამისი სამართლებრივი რეაგირების განხორციელება.

2023 წლის განმავლობაში გამიოცა სამშენებლო სამართალდარღვევისთვის, დაბა ბახმაროს ადმინისტრაციულ ერთეულში 7 ჯარიმა-დემონტაჟი, რომელიც კანონით გათვალისწინებულ ვადების მიხედვით ჩატანილ იქნება აღსრულების ეროვნულ ბიუროს გურია-აჭარის სამსახურში. ასევე 18 მოქალაქეზე დაწყებულია საქმისწარმოება საჯარიმო და იძულებითი ღონისძიების გატარებისათვის. უნებართვოდ აშენებული შენობა-ნაგებობებზე, რომლებზეც ვერ მოხერხდა მეპატრონის იდენტიფიცირება კანონის შესაბამისად გამოიცა და გამოიცემა დადგენილება დემონტაჟის შესახებ. მაქსიმალურად მიმდინარეობს მონიტორინგი უნებართვო მშენებლობის შეჩერების მიზნით.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩაზე გამოვლენილი დარღვევისათვის (უნებართვო მიშენება) დაჯარიმებული იქნა მოქალაქე და მიეცა მითითება კანონით დადგენილ ვადაში უნებართვო მიშენების დემონტაჟის შესახებ.

გაიცა მითითება დაბა ჩოხატაურში მდინარე ორპირას მიმდებარედ არსებული მიწის და მასზე განთავსებული შენობანა-გებობების მეპატრონეებს მიმდებარე ტერიტორიების გასუფთავებისა და უკანა ფასადების მოწესრიგების მიზნით.

2023 წლის მონაცემებით გარემოსდაცვის მიმართულებით, გამოვლენილი იქნა დაბა ბახმაროში და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნაყოფიერი ფენის მოხსნის ფაქტები, რომელზეც შემდგომი რეაგირების მიზნით მოთხოვნა გადაგზავნილ იქნა გარემოს დაცვის დეპარტამენში. გაიცა ნებართვები ბრძანების სახით დაზიანებული და საფრთხისშემცველი ავარიული ხე-მცენარეების ლიკვიდაციის მიზნით. (13 აქტი). ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დროს გამოკვეთილი პრობლემების შედეგად მოსახლეობას შუამდგომლობას ვუწევთ ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების სამინისტროსა და საგზაო დეპარტამენტთან, რომლის შედეგადაც მოგვარებული იქნა არაერთი პრობლემა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის.

მომატებული ვიზიტორების და დამსვენებლების მოთხოვნებიდან გამომდინარე მოქალაქეთა გარკვეული ნაწილი ითხოვს სავაჭრო და გასართობი საშუალებების

განთავსებას მერიის თანხმობის შემთხვევაში. ვინაიდან ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს სარგებლობაში არ გააჩნია არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, იქ სადაც მოსახლეობის თავშეყრის მთავარი ადგილებია, შესაბამისად მერიის სამსახურები ვერ გასცემენ შეთანხმებას დროებითი ნაგებობების განთავსების მიზნით. აქედან გამომდინარე, იძულებულნი არიან, დაიწყონ მოლაპარაკებები კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთების მეპატრონეებთან. სადაც ძირითადად დარღვეულია, როგორც საკადასტრო საზღვრები ასევე უსაფრთხოების ნორმები.

აქედან გამომდინარე შესაბამისმა სამსახურმა დაიწყო პროცედურები მიწის ნაკვეთების ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სარგებლობაში გადმოცემის მიზნით, რათა თავიდან იქნეს აცილებული როგორც დროებითი ნაგებობების უნებართვოდ განთავსება, ასევე უსაფრთხოების ნორმების დაუცველობით მიღებული სავალალო შედეგები.

მაქსიმალურად მიმდინარეობს მონიტორინგი დაბა ჩოხატაურსა და დაბა ბახმაროს, ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე მშენებლობებზე, რა დროსაც გამოიკვეთა სანებართვო პირობების დარღვევის ფაქტი, რომელიც საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ მოთხოვნების შესაბამისად შეჩერებული იქნა და მიმდინარებს პროცესი არსებული პრობლემების გამოსწორების მიზნით.

სამსახური მუდმივად არის ჩართული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის მუდმივმოქმედ კომისიებში.

განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური

განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფლებამოსილებასა და სამსახურებრივ არეალს წარმოადგენს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში არსებული ა(ა)იპ-ებისა და გაერთიანებების საქმიანობის კონტროლი და სახელმწიფო პოლიტიკის გატარება.

საანგარიშო პერიოდში სამსახური ხელს უწყობდა კულტურულ-შემოქმედებითი ცხოვრების განვითარებაში ახალგაზრდების მონაწილეობასა და მათ ჩართულობას სასარგებლო საქმიანობაში, მათთვის პიროვნული ღირებულებებისა და ახალი შემოქმედებითი უნარების განვითარებას.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნა მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო, საბჭო შედგება სათათბირო ხმის უფლების მქონე 15 წევრისგან, რომლებიც წარმოდგენილი არიან ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარული ოლქიდან,

ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან და სპეციალურად საჭიროების მქონე პირებისგან.

სამსახურის ორგანიზებით და ჩოხატაურის მერის ახალგაზრდული საბჭოს ინიციატივით გამოცხადდა „ახალგაზრდული იდეების“ კონკურსი. პროექტის საერთო თანხა შეადგენდა 20 000 ლარს. კონკურსში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ 14-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს, ასევე ახალგაზრდულ საინიციატივო ჯგუფებსა და ახალგაზრდული საბჭოს წევრებს, სადაც გამოვლინდა 4 გამარჯვებული პროექტი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის-უძრავი ძეგლების შესახებ შეიქმნა ერთიანი ბაზა. ხევის ადმინისტრაციულ ერთეულში მოქალაქემ აღმოაჩინა ქვის სტელა, რომლის შესახებ ინფორმაცია გადაეგზავნა შესაბამის უწყებას, შემდგომი კვლევა - ძიების მიზნით.

შუა სურების ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივ მცხოვრებთა თხოვნის გათვალისწინებით, გურიის სამხარეო ადმინისტრაციისა და მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიას /ლომისკარელი/ უკეთდება ადგილმონაცვლეობა და უბრუნდება პირვანდელ ადგილს.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გაეგზავნა წერილი ბუკისციხის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ციხე სიმაგრის, ე.წ. „თამარის ციხის“ საკვლევაძიებო - სარესტავრაციო და აღდგენითი სამუშაოების ჩატარების შესახებ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ორგანიზებით გაიმართა სხვადასხვა ღონისძიება. სულ განხორციელდა - 18 კულტურული, 9 შემეცნებითი და 59 სპორტული ღონისძიება.

სოციალური და ჯანდაცვის სამსახური

მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის ფუნქციონალური მიმართულების ფარგლებში განხორციელებული პროგრამებით/ქვეპროგრამებით საანგარიშო პერიოდში მომსახურება მიიღო 3027 ფიზიკურმა პირმა/ოჯახმა.

სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული სამედიცინო მომსახურების მიზნით დაკმაყოფილდა 684 განცხადება, ხოლო სამედიცინო მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნით- 2122 განაცხადი. ყოველთვიური ფულადი დახმარებით ისარგებლა 221 პირმა/ოჯახმა. ამ პერიოდისათვის პროგრამის ფარგლებში გაწეულმა ხარჯმა ჯამურად შეადგინა 934,600 ლარი.

სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება და სამკურნალო მედიკამენტების ღირებულების დაფარვა- პროგრამის ფარგლებში უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა. ამ მიმართულებით მოსახლეობის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა. სერვისებზე მოსარგებლეთა მატება გამოწვეულია ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდით. მოსახლეობა ყოველთვიურად იღებს მეტ საჭირო სამედიცინო მომსახურებას და ეხსნებათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მძიმე და ქრონიკული პრობლემები. საანგარიშო პერიოდში სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონარული სამედიცინო მომსახურების დაფინანსების მიზნით დაკმაყოფილდა 684 განცხადება, ხოლო სამედიცინო მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურების მიზნით -2122 განცხადება. ამ მომსახურებისათვის კი გაიხარჯა სულ 308,00 ათასზე მეტი, აქედან ონკოლოგიურ ბენეფიციართა მკურნალობისა და კვლევებისათვის- 82,684 ლარი, ხოლო ბავშვთა მკურნალობის ხარჯებისთვის -24,0 ათას ლარზე მეტი.

ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა- პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაწილია ოჯახების მხარდამჭერი და ბავშვებზე ორიენტირებული პროგრამების განვითარება. საანგარიშო პერიოდში ამ მიმართულებით გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 266,297 ათასი ლარი. ამ ხარჯებიდან ყოველთვიური ფულადი დახმარებით სარგებლობს 221 ოჯახი. აქედან მრავალშვილიანმა 75-მა ოჯახმა მიიღო 81,270 ლარის ფულადი დახმარება, მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე 45-მა პირმა -22,800 ლარი, დიალიზზე მყოფმა-თირკმლის უკმარისობით დაავადებულმა 13-მა პირმა მგზავრობის ხარჯის დასაფარავად მიიღო -15120 ლარი, ხელოვნური კვების პროდუქტების საჭიროების მქონე 10-მა პირმა ჯამურად მიიღო 31,500 ლარი, 18 წლამდე ასაკის შშმ სტატუსის მქონე 52 ბავშვის ოჯახმა კომუნალური გადასახადების დასაფარავად მიიღო 13,890 ლარი. ასევე, ყოველთვიური ფულადი დახმარებით სარგებლობს განსაკუთრებით მძიმე ჯანმრთელობის მქონე ხუთი პირი და დედ-მამით ობოლი ბავშვის ორი ოჯახი. საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული მებრძოლების ორი ოჯახი და დაზარალებული ორი პირი;

გარდა აღნიშნულისა, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალშობილთა ოჯახების დახმარება. ამ პერიოდში ახალშობილთა 115-მა ოჯახმა მიიღო ერთჯერადი ფულადი დახმარება ჯამურად 23 000 ათასი ლარი,

სოციალურად დაუცველი სტუდენტების ხელშეწყობა, მათთვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, თანადაფინანსება მიიღო 18-მა სტუდენტმა, რომლის ხარჯმა შეადგინა 9000 ათასი ლარი;

მძიმე საცხოვრებელ და ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი, უბედური შემთხვევების შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება, 112-მა ოჯახმა ისარგებლა 167,914 ათასი ლარის ფულადი დახმარებით;

საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული და დაზარალებული ოჯახების დასახმარებლად გაწეულია 21,800 ათასი ლარი.

შშმ პირებისა და ხანდაზმულების საჭიროებებზე - შინმოვლისა და მომსახურებისათვის გაწეულია 40,582 ათასი ლარის მომსახურება.

ა(ა)იპ განახლების ცენტრი (12 ათ. ლარი) - დღის ცენტრის, რომელიც მომსახურებას უწევს 6-18 წლამდე 20-მდე შშმ პირს (მიტოვების პრევენცია და რეაბილიტაციის ხელშეწყობა). მიიღო ფინანსური დახმარება 12 ათასი ლარი.

ბავშვთა უფლებათა კოდექსით განსაზღვრული ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით ბავშვის/ოჯახის საჭიროების გათვალისწინებით დაკმაყოფილდა 13 ოჯახი, რომელმაც მიიღო ფინანსური დახმარება 6 500 ლარი.

გენდერული საკითხები და მერიის უწყებათაშორისი კომისია - სამუშაო ფორმატი შესაბამისობაშია მიმდინარე აქტივობებთან. წლის განმავლობაში ჩატარდა სხვადასხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის საკითხებზე. აქტიურად ვითანამშრომლეთ: „გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან“; „ქალთა საინფორმაციო ცენტრთან;“ ფონდ „სოხუმთან;“ „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირთან“. „ვარდისფერი ოქტომბრის“ კამპანიის ფარგლებში გუთურის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა წარმოადგინეს პრეზენტაცია ძუძუს კიბოს შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით. გენდერზე პასუხისმგებელი პირის აქტიური ჩართულობით ჩატარდა უფასო სკრინინგი 200 ქალბატონისთვის. ქალაქ ბორჯომში ღონისძიებას თემაზე „ადგილობრივი პოლიტიკური დოკუმენტების გენდერული ზემოქმედების შეფასების და გენდერული ბიუჯეტის მნიშვნელობა ინკლუზიური, თანასწორი და სამართლიანი ადგილობრივი მმართველობისთვის“ - ესწრებოდნენ უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარე და გენდერზე პასუხისმგებელი პირი.

ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი ნარინჯისფერი კამპანიის ფარგლებში უწყებათაშორისი კომისიის ორგანიზებით გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა, სადაც განიხილეს წლის განმავლობაში კომისიის მიერ განხორციელებული საქმიანობა, ბავშვებისა და ოჯახების მხარდამჭერი ღონისძიებების მუნიციპალიტეტში, ასევე განხილული იქნა ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები და სოფლის მეურნეობის მიმართულებით ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამები.

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურში საანგარიშო პერიოდში შემოსულია -**479** კორესპონდენცია. პასუხი გაეცა წერილობით - 124 ადრესატს, ხოლო მოქალაქეთა -56 განცხადებაზე გაკეთდა სათანადო რეაგირება. სამოქალაქო რეესტრიდან შემოვიდა -38 ამონაწერი: წვევამდელთა და რეზერვისტთა საცხოვრებელი ადგილის ცვლილებებთან დაკავშირებით, რაზედაც სამსახურის მიერ გაკეთდა სათანადო რეაგირებები.

მოქალაქეთა განცხადებების შესაბამისად გაცემულია 53 სხვადასხვა სახის ცნობა.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე რეზერვში ჩაირიცხა - 80 მოქალაქე. აქედან ზღვრული ასაკის შესრულების გამო -74. სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის გამო -6.

სამსახურის მიერ გაცემული იქნა რეზერვისტის დროებითი მოწმობა -14, წვევამდელის სამხედრო სააღრიცხვო მოწმობა -75.

თავდაცვის სამინისტროს საკონტრაქტო სამსახურში გაიგზავნა 7 მოქალაქე. საკონტრაქტოდან დათხოვნილია -1 , რასაც სამსახურის მიერ გაუკეთდა სათანადო რეაგირებები.

სხვადასხვა უწყებიდან შემოსული მომართვების საფუძველზე მოიხსნა საერთო აღრიცხვიდან 5 მოქალაქე და სპეცაღრიცხვაზე გადაყვანილ იქნა -9 მოქალაქე.

2023 წლის გაზაფხულზე სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილია 2006 წელს დაბადებული - 72 ჭაბუკი.

სამხედრო სამსახურში ფუნქციონირებს გამწვევი კომისია. საანგარიშო პერიოდში მიღებულია- 195 გადაწყვეტილება. აქედან გაწვევის შესახებ - 42, გადავადების შესახებ - 149. სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ -2. მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, თითოეულ წვევამდელზე სახელობით წიგნებში გაკეთდა სათანადო რეაგირებები.

სამსახურის მიერ თბილისის შემკრებ-გამანაწილებელ პუნქტში სამხედრო-სამედიცინო კომისიაზე გადაყვანილ იქნა 37 წვევამდელი, აქედან 27 წვევამდელს ჯანმრთელობის მდგომარეობით მიეცა სხვადასხვა ვადით გადავადება, მხოლოდ -10 წვევამდელი გახდა ვარგისი სამხედრო სამსახურისთვის.

შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახური

შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ შემუშავებული გეგმით, 2023 წელში გათვალისწინებული იყო ოთხი აუდიტის განხორციელება :

კომუნალური სამსახური „ჩოხატაურის სერვის ჯგუფი“-ს შესაბამისობის აუდიტი;

„სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი“ - ს შესაბამისობის აუდიტი;

„სოციალური და ჯანდაცვის სამსახური“ -ს შესაბამისობის აუდიტი;

ბიუჯეტის დაგეგმარებისა და განხორციელების აუდიტი. (პილოტური).

როგორც მოგახსენეთ 2023 წლის წლიურ გეგმით გათვალისწინებული იყო, აუდიტის მხოლოდ ერთი სახის შესაბამისობის აუდიტის განხორციელება. შესაბამისობის აუდიტორული შემოწმებისას ანგარიშგების ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენდა მოქმედი საკანონმდებლო, კანონქვემდებარე, სახელშეკრულებო მოთხოვნები ან აუდიტის ობიექტის საქმიანობის მარეგლამენტირებელი სხვა შესაფერისი ბაზა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელებული შემოწმებების კვალობაზე ცალკეული აუდიტის ობიექტის მიხედვით გამოვლინდა საქმიანობაში გარკვეული ხარვეზები და გაუმჯობესების შესაძლებლობები:

2023 წელს გაცემული და შეთანხმებული რეკომენდაციები ობიექტებისთვის მიწოდებული იქნა სამოქმედო გეგმების სახით, რომელთა შესრულების მონიტორინგი ხორციელდება ეტაპობრივად. საბოლოო შესრულების მონიტორინგი განხორციელდება მიმდინარე წლიური გეგმის შესაბამისად.

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ სამსახურის შიგნით არსებობს შიდა აუდიტის ორი სახის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის სრულფასოვანი განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსი, როგორც რაოდენობრივი ასევე კვალიფიციური.